



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თვალაბეიშვილი სერგო არსენის ძე

თვალაბეიშვილი სერგო არსენის ძე (1896, სოფ. საპაიჭაო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი – 1927) საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1921–24 საქართველოვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დას. საქართველოში. 1917-იდან საქართვე. ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის წევრი. 1918–21 თ. იყო საქართვე. სახ. გვარდიის ვანის რ-ნის შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საქართველოს ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ აქტიურად ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1922–24 იყო საქართვე. დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხ. ცენტრის რწმუნებული ვანის რ-ნში, სადაც ხელმძღვანელობდა 1924 აგვ. აჯანყებისთვის (იხ. აგვისტოს აჯანყება 1924) მზადებას. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1924 სექტ., თ. დააპატიმრა საქ. სსრ „საგანგებო კომისიამ“ (ე. წ. „ჩეკამ“). გათავისუფლების შემდეგ, 1925–27, ეწეოდა არალეგალურ პოლიტ. მოღვაწეობას. ხელმძღვანელობდა საქართვე. ს.-დ. პარტიის რაიონულ იატაკქვეშა ორგანიზაციას. მოკლულ იქნა „ჩეკას“ მიერ 1927.

ლიტ.: დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი თ., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005.

ლ. ურუშაძე
